

4. გერმანული ენათმეცნიერება

4.1. ენა

ენის მიმართ ადამიანებს სხვადსხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ და აქვთ დღესაც. “ენა არის აზრების შესამოსელი” – ამბობდა ინგლისელი მწერალი სემუელ ჯონსონი. “ენა არის ყოველგვარი გაუგებრობის წყარო” ამბობს ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ ევზიუპრი თავის “პატარა პრინცში”. გერმანელი მწერლის კურტ ტუხოლსკისთვის კი “ენა არის იარაღი” “ენა არის ყველაზე ამაღელვებელი საკომუნიკაციო საშუალება, როგორც კი კაცობრიობას შეუქმნია” და ა. შ.

გერმანელები დღესაც მეტად მგრძობიარენი არიან თავიანთი ენის სიწმინდის შენარჩუნების მიმართ და ძალიან განიცდიან ინგლისურის ზეგავლენას. მათ ტერმინიც კი მოიგონეს “Denglisch”, რითიც ისინი თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ ინგლისური “ექსპანსიის” მიმართ გერმანულ ენაში.

“ენა (როგორც სისტემა) არის ადამიანებისთვის უმნიშვნელოვანესი და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი (**artspezifisches Kommunikationsmittel**), რომელიც ემსახურება ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლას და ასრულებს ეპისტემოლოგიურ (ანუ აზროვნების ორგანიზაციაზე მიმართულ), კოგნიტიურ (ანუ შემეცნებით) და აფექტურ(გრძობების გამოხატველ) ფუნქციებს. ტერმინს “ენა” გააჩნია მნიშვნელობის ორი კომპონენტი:

1. ენა თავისთავად, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ანუ ადამიანურ ენაზე მეტყველების უნარი (სტრუქტურალიზმის ფუძემდებლის ფერდინანდ დე სოსიურის მიხედვით: **faculte de langage**)

2. ენა როგორც ცალკეული ენა, ე.ი კონკრეტული ენა მაგალითად, გერმანული ენა ა) გარკვეულ ენობრივ კოლექტივში, გარკვეულ დროსა და გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში არსებული ენის სისტემა(**langue**) და მისი კონკრეტულ კომუნიკაციურ აქტებში და შესაბამისად ტექსტებში(**parole**) რეალიზაცია (გამოხატვა)“.

(Albert Busch/ oliver Stenschke Germanistische linguistik 2007. შ.5-6.

ე. ი. ენა “თავისთავად” და ენა როგორც „ცალკეული ენა“ არის ამ განსზღვრების ძირითადი არსი.

გერმანისტული ლინგვისტიკა როგორც კერძო ფილოლოგიის ერთერთი შემადგენელი ნაწილი იკვლევს უპირველეს ყოვლისა გერმანულ ენას როგორც ცალკეულ ენას.

წარმოდგენები, თუ რა არის ენა, მეტად განსხვავებულია გერმანელებში, რადგან ენის არსის შესახებ საკუთარი აზრი არა მხოლოდ ლინგვისტებს გააჩნიათ, არამედ ენის ნებისმიერ

მატარებელს. რა არის ენა? ჩვენ შეიძლება ჩვეულებრივი ადამიანებისგან მივიღოთ შემდეგი პასუხები:

>საკომუნიკაციო საშუალება

>აზროვნების საშუალება

>დიალექტი და სალიტერატურო ენა

>წერითი და ზეპირი ფორმები

>ლექსიკური მარაგი და გრამატიკა

>ძალაუფლების ინსტრუმენტი

> („wat man so spricht“ დიალექტ.)

აქ საუბარია ენის მრავალსახეობაზე(ანუ ხდება ენის როგორც შემეცნების ობიექტის თემატიზირება). ეს ზემოთჩამოთვლილი ასპექტები წარმოადგენს იმ იმპულსებს, რომლებიც საფუძვლად დაედო საუკუნეების განმავლობაში მრავალფეროვანი ლინგვისტური თეორიების შექმნას.

4.2. გერმანული ენათმეცნიერების ობიექტი

მეცნიერება, რომელიც ერთი მხრივ ზოგადად ადამიანური ენის და მეორე მხრივ ცალკეული, კონკრეტული ენის თავისებურებებს მეცნიერულად იკვლევს არის ენათმეცნიერება ანუ ლინგვისტიკა. მისი შესწავლა გულისხმობს მრავალგვარი სპეციფიკური საკითხების წამოჭრას, სხვადასხვაგვარი მეთოდებით ენის სისტემის კომპლექსური ხასიათისა და მისი გამოყენების კვლევას. (ჩვენ შემდგომში საერთაშორისოდ მიღებული ტერმინოლოგიის შესაბამისად ამ მეცნიერებას ლინგვისტიკის სახელით აღვნიშნავთ).

ენათმეცნიერების ანუ ლინგვისტიკის მიზანია ენის, ენების ან ენობრივი კომუნიკაციის აღწერა და შესწავლა. ლინგვისტიკის ობიექტი დაყოფილია ცალკეულ დისციპლინებად, საგნებად და მეთოდებად, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში კონკრეტული ინტერესის გათვალისწინებით ერთმანეთისგან მკვეთრად იმიჯნებიან.

“ლინგვისტიკის ობიექტის ძირითად ბირთვს წარმოადგენს ენობრივი ნიშნების შესწავლა ენობრივი იერარქიის სხვადასხვა დონეზე, რომლებიც შეესაბამებიან ენის აღწერის მიზნებს:

ფონეტიკა და ფონოლოგია, გრაფემატიკა, მორფოლოგია, სიტყვაწარმოება, სინტაქსი, სემანტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სტილისტიკა.

ტექსტის ლინგვისტიკა და სტილისტიკა იკვლევენ ენობრივ ერთეულებს წინადადების დონის „მიღმა“ ტექსტის დონეზე. ლინგვისტური პრაგმატიკა კი იკვლევს ენობრივი ქმედების წინაპირობებსა და კანონზომიერებებს“. (Metzler –Lexikon Sprache 2004, Sprachwissenschaft)

შემდგომში ჩვენ მოკლედ განვიხილავთ ენის ლინგვისტური კვლევის სხვადასხვა მიდგომებს, მის ზემოთჩამოთვლილ ქვედისციპლინებს, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგვექმნას თანამედროვე ლინგვისტიკის ცალკეული შემადგენელი ნაწილების შესახებ.

ზოგადად აღსანიშნავია, რომ ლინგვისტიკა არის მეცნიერული დისციპლინა, რომელიც ცალკეული ე.წ. ბუნებრივი ენის ან ენების ქსელს აღწერს: არა მხოლოდ მათი სტრუქტურის თავისებურებების დასადგენად, არამედ აგრეთვე მათი არსებობის პირობების, მათი ფუნქციის და მათი ისტორიული განვითარების გზის გამოვლენის მიზნით.

ეს მეტად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტორებია, რადგან ლინგვისტიკა ჩვენ არ უნდა გავაიგივოთ სტრუქტურის აღწერასთან ანუ ერთი ენის გრამატიკასთან. ეს განსხვავება მკაფიოდ არ აღიქმება, თუ მეტნაკლებად არ შემოისაზღვრა ლინგვისტიკის ობიექტის სფეროს ცნება.

ადამიანების საუბარი ანუ მეტყველების პროცესი არ შეიძლება თვითმიზანი იყოს (თუ საქმე არ ეხება პათოლოგიური სახის გადახვევებს, რომლებსაც ადგილი აქვს ფსიქიური პრობლემების მქონე ადამიანებთან). ჩვენ ვმეტყველებთ ან ენობრივ, სამეტყველო ქმედებაში ვართ გამუდმებით ჩართულნი, რათა ჩვენი საუბრით (რომელიც რეალიზდება სამეტყველო აქტებში ან ტექსტებში) კომუნიკაციის პარტნიორზე ზემოქმედება მოვახდინოთ, რათა რაღაცას მივაღწიოთ და ამით ჩვენი საუბრის ინტენციის (ანუ მიზნის) განხორციელება შევძლოთ: რაიმეში დავარწმუნოთ თანამოსაუბრე, მას რაიმე შევატყობინოთ ან თუნდაც რაიმე ქმედება გადავათქმევინოთ – ანუ ჩვენი სამეტყველო აქტით (ან ტექსტით) მოვახდინოთ დიალოგის პარტნიორზე ზემოქმედება, გამოვიწვიოთ საპასუხო სამეტყველო ქმედება, რომელიც შესაძლოა რაიმე სახის კონკრეტულ ქმედებაში ან საპასუხო სამეტყველო აქტში (ან ენობრივ ტექსტში) განხორციელდეს.

ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ ლინგვისტიკის შეხების წერტილები ლიტერატურათმცოდნეობასთან, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ასევე გერმანული ფილოლოგიის დარგია. ჩვენ დავინახეთ, რომ ლიტერატურათმცოდნეობა, ისევე როგორც ლინგვისტიკა, იკვლევს ენობრივ გამონათქვამებს ანუ უმეტესწილად ტექსტებს, თუმცა სხვა ასპექტში, სხვა კუთხით. ორივე დისციპლინისთვის კვლევის ობიექტთან

მიმართებაში საერთო არის ტექსტი. სწორედ ეს არის იმის საფუძველი, რომ ორივე დისციპლინა ერთად, როგორც ლინგვისტიკა ისევე ლიტერატურატმცოდნეობა გერმანულ ფილოლოგიას ანუ გერმანისტიკას წარმოადგენს - ცალკე მეცნიერებას, რომლის კვლევის ობიექტიც არის გერმანული ენის (უფრო ფართოდ კი სხვა გერმანიკული ენების) ტექსტები.

ამასთან, ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ტექსტის ცნების ქვეშ არ შეიძლება მხოლოდ წერილობით ფიქსირებული ტექსტი იგულისხმებოდეს, როგორც ამას ადრინდელი ფილოლოგიის ცნება გულისხმობდა, არამედ ზეპირ ფორმაში განხორციელებული ტექსტებიც.

4.3. ენა როგორც ნიშანთა სისტემა

სათაურში მოცემული ეს გამონათქვამი უცხო არ უნდა იყოს. ხაზი უნდა გავუსვათ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ენის როგორც ლინგვისტიკის კვლევის ობიექტის სისტემური ხასიათი სწორედ იმით არის განპირობებული, რომ მისი ელემენტები – ენობრივი ნიშნები არა უბრალოდ როგორღაც, არამედ სრულიად გარკვეული წესების მიხედვით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მმაგ: ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ:

Der Stuhl lacht

Morgen ist er krank gewesen

Ich machen Arbeit და ა.შ.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ლინგვისტიკაში მიღებულია არასწორი ფორმების ვარსკვლავით აღნიშვნა *. განვიხილოთ სამივე მაგალითი: პირველ წინადადებაში არს. სახელის მნიშვნელობა არ ესადაგება ზმნისას, ისე რომ მათი ერთ წინადადებაში გაერთიანება, როგორც ვხედავთ, აზრს არის მოკლებული. მეორეში ზმნიზედა მიმართულია მომავალზე და ამდენად ამ გამონათქვამში იგი არ ესადაგება ზმნის პარტიციპის ფორმას. ხოლო მესამე შემთხვევაში დროთა ურთიერთმიმართება თანხედომია, მაგრამ I პირის ნაცვალსახელი მხოლოდით რიცხვში აუცილებლად მოითხოვს ზმნის მხოლოდობით რიცხვს.

ამ სრულიად უბრალო მაგალითების ანალიზითაც ცხადი ხდება, რომ ენობრივი ნიშნები გარკვეული წესების დაცვით უკავშირდებიან ერთმანეთს. ამ ფაქტის გაცნობიერებისთანავე ნათლად ჩანს, რომ საზოგადოდ მიღებული ფორმულირება, რომლითაც ჩვენ ჩვენი ლექციის ამ ნაწილს ვასათაურებთ, საკმარისი არ არის. გამონათქვამიც: ენა არის ნიშნებისა და წესების სისტემა დაზუსტებას მოითხოვს: ენა არის ნიშანთა სისტემა, რომელიც (ეს სისტემა) მათ (ე.ი. ამ ნიშნებს) ერთმანეთთან გარკვეული წესებით აკავშირებს.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ენა ერთადერთი ნიშანთა სისტემა იყოს. ის მხოლოდ ერთერთერთია მრავალთა შორის. ასე მაგალითად, ნიშანთა სისტემებია შუქნიშნები ისევე როგორც მორზეს ანბანი, რომელიც საერთაშორისო კოდს წარმოადგენს ან მათემატიკური ერთეულების ან ქიმიური ელემენტების ფორმათა სისტემები. ეს ყველა სისტემა ადამიანური სინამდვილის სფეროს განეკუთვნება და სემიოტიკის (მეცნიერების ნიშანთა სისტემების შესახებ) საგანს წარმოადგენს, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

არსებობს აგრეთვე ნიშანთა სისტემები ცხოველთა სამყაროშიც, რომლებიც ასევე ასრულებენ კომუნიკაციურ ფუნქციას და ისინი არცთუ ისე მარტივია. მაგ., ფუტკრების ცეკვა, როცა ერთი ფუტკარი დანარჩენებს ატყობინებს საკვების ადგილმდებარეობის შესახებ. ამგვარივე ფრინველთა მახილიც, რომლითაც ისინი ერთმანეთს მოახლოებულ საფრთხეზე მიუთითებენ. ბუნების მოვლენებიც შესაძლოა თავისებურ ნიშანს წარმოადგენდეს. მაგალითად მთამსვლელისთვის მოახლოებული შავი ღრუბლები ნიშანია, რომელმაც რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიაღებინოს მას – მან ან უნდა შეწყვიტოს სვლა ან შეცვალოს მარშრუტი და ა.შ.

ჩვენ ვერ აღვიქვამთ მრავალ ნიშანს როგორც ასეთს (ანუ როგორც ნიშანს) ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში, რადგან ისინი ჩვენი ცხოვრების ჩვევად არიან ქცეული. ესენია პირველ რიგში ასოები, მაგრამ ასევე სურათებიც, ნახატები, ქუჩაში მოძრაობის წესების აღმნიშვნელი ნიშნები, რიცხვები და ა.შ.

4.4. სემიოტიკა

რა აქცევს ნიშანს ნიშნად? ეს არის მისი ჩანაცვლებითი ფუნქცია (stellvertretende Funktion). ნიშანი გამოიყენება რაღაც სხვის აღსანიშნად. ამას ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა: ნიშანი არის რაღაცა ვინმეს ან რაიმეს ნაცვლად, მის აღსანიშნად რომ გამოიყენება (**aliquid stat pro aliquo**).

ჩვენ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: არსებობს კი რაიმე ჩვენს ირგვლივ, რისიც როგორც ნიშნის ინტერპრეტირება არ შეიძლებოდა?

სკამიც კი, რომელზეც თქვენ ახლა ზიხართ, შესაძლოა ცალკე განვიხილოთ როგორც ნიშანი თქვენი ამ წუთიერი, მომენტალური ადგილსამყოფელისა. თუ ეს სამზარეულოს სკამია, ე.ი. სამზარეულოში იმყოფებით, თუ ეს აუდიტორიის მერხია, როგორც ახლა, ე.ი. თქვენ უნივერსიტეტში ლექციაზე ყოფილხართ და ჯერ კიდევ სწავლობთ, მეცნიერებების დაუფლებას ცდილობთ.

ამრიგად, ნიშნის უმთავრესი თვისება არის მისი „ჩანაცვლებელი“ ან უფრო ზუსტად ჩანაცვლებითი, (რაიმე ან ვინმე სხვის) რეპრეზენტაციული (ანუ წარმომადგენლობითი) ფუნქცია.

მეცნიერებას, რომელიც ზოგადად ნიშნებს ანუ საერთოდ ყველა შესაძლებელ ნიშანთა სისტემას სწავლობს ს ე მ ი ო ტ ი კ ა ეწოდება. იგი, შეიძლება ითქვას დღეს ისეთივე ფართე ცნების მომცველია როგორც ფილოლოგია. „სემიოტიკა“, „სემიოლოგია“, „სემიოზი“ – ეს ტერმინები დამახასიათებელია მეცნიერებებისთვის, რომლებიც გარკვეული შინაარსებისა და პროცესების ნიშნობრივ ხასიათს უსვამენ ხაზს.

ანტიკური ეპოქა იცნობდა ამგვარ ტერმინოლოგიას მედიცინასთან მიმართებაში(ჰიპოკრატე, გალენი), ასევე რიტორიკა, ლოგიკა(წმინდა ავგუსტინე), სქოლასტიკაც იცნობდა ამგვარ ტერმინებს (პეტრე ესპანელი- პეტრუს ჰისპანუს) და განმანათლებლობის ეპოქაც (ჯონ ლოკი, ლამბერტი).

სემიოტიკის როგორც მეცნიერების განსაზღვებისას ამ მეცნიერების ამერიკელმა თეორეტიკოსმა პირსმა და „ლინგვისტიკის მამად“ წოდებულმა ფერდინანდ დე სოსიურმა უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაუყარეს საფუძველი ნიშანთა ბუნების სისტემურ კვლევას, რაც შემდგომ გააგრძელეს დანიელმა ენათმეცნიერმა ლუი იელმსლევმა, სემიოტიკოსებმა და პოსტსტრუქტურალიზმის წარმომადგენლებმა როლან ბარტმა, კლოდ ლევი-სტროსმა, იულია კრისტევამ(საფრანგეთში) და იტალიაში უმბერტო ეკომ – ეს სახელები დღეს საყოველთაოდ ცნობილია ერთის მხრივ (რომანულ) პოსტსტრუქტურალიზმთან და ასევე „რომანულ სემიოტიკასთან“ კავშირში. მათ მოახდინეს არა მხოლოდ ლიტერატურული სტრუქტურების არამედ ფილოსოფიის, ფსიქოანალიზის, არქიტექტურისა და მთელი კულტურის „სემიოტიზაცია“.

თანამედროვე სემიოტიკის უდიდესი წარმომადგენელია უმბერტო ეკო, რომლის ერთ-ერთ ტექსტში Signor sigma (სენიორ სიგმა) აღწერილია

ერთი სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი სიტუაცია:

იტალიელი სენიორ სიგმა ჩადის პარიზში შვებულების გასატარებლად. იქ მას ასტკვიდება მუცელი. ცოტაოდენი ფრანგული კი იცის, მაგრამ პირველად არის საფრანგეთში და მრავალი ნიშნის ინტერპრეტირების საჭიროების წინაშე აღმოჩნდება: პრობლემები იწყება ექიმის კერძო პრაქტიკის მისამართიდან (მან უნდა დაადგინოს სად არის ექიმის პრაქტიკა) და ტაქსის მძღოლთან ურთიერთობიდან (უნდა გააგებინოს მისამართი), შენობაში ლიფტის გამოყენებისა თუ თვით საჭირო კარის მოძებნიდან (სადაც ექიმის მისაღებია). ეს პრობლემები გრძელდება დიალოგის პროცესში თვით ექიმთან, როცა ის ცდილობს შესაბამისი სიტყვების მოძებნას თავისი შეგრძნებების გამოსახატავად. მაგალითად, ის ხმარობს სიტყვას “მუცელი”- “ღვიძლის” ნაცვლად და ექიმი ღიზიანდება, მას გაუნათლებელ ადამიანად მიიჩნევს – რაც სინამდვილეს არ შეესაბამება - ე.წ.(Fehlinterpretation),ანუ რაც არასწორი ინტერპრეტაციას წარმოადგენს ექიმის მხრიდან. შემდეგ ექიმი სიგმას გასინჯვას იწყებს და აქ უმბერტო ეკო გვიჩვენებს, თუ რა არის სამედიცინო სემიოტიკა. მმაგ. ყვითელი

ხელის გულები: “ცუდი ნიშანია!” ამბობს ექიმი. ეს სიყვითლე კი იმის მაჩვენებელი ანუ სიმპტომი აღმოჩნდება, რომ სენიორ სიგმას სმა ყვარება. სენიორ სიგმა მეტად გაკვირვებულია ექიმის მიხვედრილობით და ა.შ.

მთლიანად ეკოს მიერ აღწერილი სიტუაცია მეტად უცნაური ჩანს, რადგან ის თითქოს გამადიდებელი შუშის ქვეშ- ლუპის საშუალებით არის გადმოცემული. რისი თქმა სურს ამით უმბერტო ეკოს?

იგი ამ აუბრალო ისტორიით ცდილობს იმის ჩვენებას, რომ ის რასაც საწყალი სენიორ სიგმა უნდა გაუმკლავდეს, რაც მან უნდა დაძლიოს, (სანამ ის საბოლოოდ ექიმის პირისპირ აღმოჩნდება და გაარკვევს თუ რა სჭირს), არის ის, რაც ადამიანმა ნიშანთა კონვენციონალური ანუ შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სისტემების სიმრავლედ უნდა აღიქვას. ეს კი იმით არის განპირობებული, რომ ადამიანებს მუდამ ისეთ ნიშანთა სისტემებთან აქვთ საქმე, რომლებიც თავიანთი არაჩვეულებრივი სირთულის მიუხედავად ურთიერთმიმართებაში არიან ერთმანეთთან და ერთმანეთს განსაზღვრავენ. ამდენად, ადამიანი მუდამ ჩართულია ნიშანთა სისტემათა ქსელში, რომელშიც ორიენტირების უნარი მისი ყოველდღიური ყოფის განმსაზღვრელი ფაქტორია.